# ს ა ტ ე ნ დ ე რ ო  მ ო წ ვ ე ვ ა

შპს „ორი ნაბიჯი“ გიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად და გაცნობებთ, რომ მზად არის შეისყიდოს ტენდერში გამარჯვებული კომპანიისგან გათბობისა და გაგრილების სისტემები.

გთხოვთ იხილოთ დანართი #1, სადაც წარმოდგენილი ფასები უნდა იყოს მითითებული ლარში დღგ-ს ჩათვლით.

შემოთავაზებასთან ერთად გთხოვთ მოგვაწოდოთ მისამართები, ანუ მომსახურების წერტილები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ საკონტაქტო ნომერზე, ან ელ. ფოსტის საშუალებით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, შესაბამისი შემოთავაზება, ტენდერში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტები და საკონტაქტო ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით, 2019 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

| | |
|---|---|
| ტენდერში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება | 2019 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით |
| განაცხადების მიღება ხორციელდება სამუშაო დღეებში | 10 საათიდან 18 საათამდე |

**ტენდერის კატეგორია:**

| | |
|---|---|
| 42500000 | გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები |
| 44600000 | ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები |
| | |

**ტენდერში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტები:**

| | |
|---|---|
| 1 | კომპანიის სრული დასახელება |
| 2 | საკონტაქტო პირის სახელი და გვარი |
| 3 | მისამართი |
| 4 | ტელეფონი |
| 5 | საბანკო რეკვიზიტები |
| 6 | თანდართული ჩამონათვალის მიხედვით, პროდუქციის დასახელება, სპეციფიკაცია, ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით |
| 7 | მიწოდების ვადა და პირობები |
| 8 | უახლესი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; |
| 9 | ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ არსებობის შესახებ; |
| 10 | ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ იურიდიული პირის ქონება არ არის დატვირთული საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით/ ან/და არ ადევს ყადაღა/საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა; |
| 11 | ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ არ მიმდინარეობს კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; |
| 12 | ცნობა სასამართლოდან, რომ კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება; |
| 13 | ცნობა მომსახურე ბანკიდან ანგარიშზე საინკასო დავალების/ყადაღის არ არსებობის შესახებ; |
| 14 | ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია (სასურველია რეკომენდატორების მითითება). |

**ტენდერში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტები/ფორმები წარმოდგენილი უნდა იყოს:**

| |
|---|
| მყარი კოპიოს სახით დალუქულ კონვერტში; |
| კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის დასახელება და „ავტოპარკის ნაწილებისა და ტექნიკური მომსახურეობის შესყიდვის ტენდერი". |
| მყარი კოპიო, დამოწმებული უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და კომპანიის ბეჭდით; |

**რეკვიზიტები**

# ს ა ტ ე ნ დ ე რ ო  მ ო წ ვ ე ვ ა

| | |
|---|---|
| ტენდერის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ერთეული: | სატენდერო კომისია |
| საკონტაქტო პირი: | გიორგი ალიბეგაშვილი |
| ტელეფონი: | +995 577 77 97 47 |
| E-mail | Giorgi.alibegashvili@orinabiji.ge |
| მისამართი: | 2 ნაბიჯი, ისანი, ნავთლუღის ქუჩა 39-41, თბილისი, 0113, საქართველო |

**შენიშვნები:**

| |
|---|
| შპს ,,ორი ნაბიჯი“ უფლებას იტოვებს მიიღოს სატენდერო წინადადება სრულად ან ნაწილობრივ; |
| შპს ,,ორი ნაბიჯი“ გამოავლენს გამარჯვებულს ყველა პირობის ერთობლიობის გათვალისწინებით; |
| თუ პრედენდენტს არ შეუძლია გარკვეული ნაწილისა თუ სერვისის მოწოდება შეუძლია გამოტოვოს გრაფა |